შესყიდვების განყოფილება

2022 წლის 03 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიში

2022 **წლის** 03 **იანვრიდან** 2022 **წლის** 31 **დეკემბრის ჩათვლით** გაფორმებულია 332 **ხელშეკრულება**, მათ შორის:

- გამარტივებული შესყიდვით გაფორმებულია 182 **ხელშეკრულება**, ღირებულებით - 2033 449,76 ლარი, მათ შორის:

  - 105 **ხელშეკრულება** გაფორმდა „მონეტარული ზღვრის“ დაცვით;

  - 5 **ხელშეკრულება** გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთნხმებით „გადაუდებელი აუცილებლობიდან“ გამომდინარე;

  - 8 **ხელშეკრულება** გაფორმდა „ექსკლუზიური უფლებამოსილების“ ფარგლებში;

  - 2 **ხელშეკრულება** გაფორმდა „ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების“ ფარგლებში;

  - 3 **ხელშეკრულება** გაფორმდა „განსაზღვრული წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებების“ ფარგლებში;

  - 8 **ხელშეკრულება** გაფორმდა წარომდაგენლობითი ხარჯის ფარგლებში;

  - 2 **ხელშეკრულება** გაფორმდა კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევის საფუძვლით;

  -49 **ხელშეკრულება** გაფორმდა „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების“ საფუძლით, რომლებიც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამას და ინტერნეტმომსახურების შესყიდვას.

- კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმებულია 28 **ხელშეკრულება**, ღირებულებით - 1 615 600 ლარი;
- **ელექტრონული ტენდერით გაფორმებულია** 121 **ხელშეკრულება**, **ღირებულებით** - 18 536 332,56 **ლარი**.

შესყიდვების განყოფილების მიერ სულ გამოცხადებულია 165 **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე**:

- შეწყვეტილია 5 **ტენდერი**;
- არ შედგა 29 **ტენდერი**;
- უარყოფითი შედეგით დასრულდა 10 **ტენდერი**;
- ხელშეკრულება გაფორდა 121 **ელექტრონული ტენდერის** საფუძველზე;